

**პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი**  
**„ქართული ხელნაწერი“ (19-25 ოქტომბერი, 2009)**

**ანგარიში**

2009 წლის 19-25 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით და ქართველოლოგიის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები ფონდის (რუსთაველის ფონდი) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“. სიმპოზიუმი თბილისის მერიის მხარდაჭერითა და საქართველოს პარლამენტის პატრონაჟით წარიმართა.

სიმპოზიუმი მიზნად ისახავდა ქართველოლოგიური კვლევების სფეროში აქტუალური საკითხების წინ წამოწევას, უკვე დაგროვილი ცოდნის შეჯამებასა და სამომავლო კვლევითი პერსპექტივების დასახვას, ასევე ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობას, ქართველოლოგიური მასალისა და კვლევების/მკვლევრების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.

სიმპოზიუმის სამუშაო თემატიკა შემდეგნაირად განისაზღვრა:

- საქართველო და ბიზანტიური სამყარო
- საქართველო და ისლამური სამყარო
- საქართველო და კათოლიკური სამყარო
- საქართველო და პოსტბიზანტიური სამყარო
- მსოფლიო ხელნაწერი მემკვიდრეობა

სამუშაო სექციები:

- კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია
- წყაროთმცოდნეობა-დიპლომატიკა / არქივთმცოდნეობა
- კულტურის კვლევები
- ღვთისმეტყველება / ფილოსოფია
- დიგიტალიზაცია/რესტავრაცია-კონსერვაცია
- წიგნის ხელოვნება

სიმპოზიუმის სამუშაო ენებად გამოცხადდა ქართული და ინგლისური.

სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად საორგანიზაციო კომიტეტში შემოვიდა 200-მდე განაცხადი, რომელთაგან სპეციალურმა კომისიამ შეარჩია 84.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, სოხუმის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), ისე – ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხეთის, ესპანეთის, იტალიის, ირანისა და იაპონიის სამეცნიერო კვლევითი და საუნივერსიტეტო ცენტრების წარმომადგენლები, სულ 21 სტუმარი.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებდა და მასში მონაწილეობდნენ: ფილოლოგები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები, რესტავრატორ-კონსერვატორები და დიგიტალიზაციის სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“ საზეიმოდ გაიხსნა 19 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბატონი ნოდარ სურგულაძე, ქართველოლოგიის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) დირექტორი ქალბატონი თინათინ ბოჭორიშვილი, კონფერენციის მონაწილეები (რომელთაც წინასწარ გაიარეს რეგისტრაცია და მიიღეს მონაწილის პერსონალური პაკეტი) და მოწვეული სტუმრები.

შესავალი სიტყვით გამოვიდა და სიმპოზიუმი გახსნილად გამოაცხადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბატონმა ბუბა კუდავამ, სიმპოზიუმს მიესალმნენ მოწვეული სტუმრები.

სიმპოზიუმმა ერთ კვირას გასტანა და 5 დღის განმავლობაში 12 სექციაზე წაიკითხეს 84 მოხსენება. იმ მონაწილეთა მოხსენებები, რომელთაც ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლეს საქართველოში ჩამოსვლა დაიბეჭდა თეზისების კრებულში, რათა დანარჩენ მონაწილეებს ჰქონოდათ მათი გაცნობის საშუალება.

საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში, გარდა უშუალოდ სამეცნიერო მუშაობისა, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: უცხოელი სტუმრებისთვის მოეწყო ექსკურსიები კახეთსა (ალავერდი, წინანდალი, სიღნაღი, ველისციხე) და მცხეთაში, საგანგებოდ სიმპოზიუმის მონაწილეთათვის გაიმართა საგანგებო მიღება (გამოფენით) საქართველოს პარლამენტში.

სიმპოზიუმის ფარგლებში მომზადდა და გაიმართა სპეციალური გამოფენა „ხელნაწერი წიგნის კულტურა“, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უმდიდრესი კოლექციის ერთი ნაწილი (როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ხელნაწერები). გამოფენის მიზანი იყო ცენტრში დაცული კოლექციის მრავალფეროვნებისა და გარესამყაროსთან უწყვეტი კავშირის ჩვენება. გამოფენა „ხელნაწერი წიგნის კულტურა“ გახსნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ, მანვე დააჯილდოვა სიმპოზიუმის ორი მონაწილე (მიხეილ ქავთარია, ბერნარ უტიე) თბილისის მერიის ჯილდოთი (ქართული კულტურის ამადგარი), რომელიც გადაეცემათ ქართულის კულტურის კვლევასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ოფიციალური დახურვის ცერემონიაზე გაიმართა უნიკალური ებრაული ხელნაწერის – ლაილაშის ბიბლიის ფაქსიმილური გამოცემის პრეზენტაცია.

დასასრულ, უცხოელი სტუმრები მიიღო და დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

სიმპოზიუმის მსვლელობისას გაიმართა ქართველ და უცხოელ მკვლევართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, დაიგეგმა არაერთი სამომავლო სამეცნიერო პროექტი.

სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს დაურიგდა შესაბამისი სერთიფიკატები და სასაჩუქრე პაკეტი.